

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №366

2021 წლის 31 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის №289 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის №289 ბრძანებით (<https://matsne.gov.ge>, 03/12/2020, სარეგისტრაციო კოდი 190040000.22.033.017400) დამტკიცებულ „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ცვეთადი აქტივი – განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე ფიზიკურად ხელშესახები აქტივი (ძირითადი აქტივი, საინვესტიციო ქონება, შეღავათიანი მომსახურების აქტივი, ფინანსური იჯარით მიღებული აქტივი, მატერიალური არაწარმოებული აქტივი (მიწის გარდა) და საოპერაციო იჯარით მიღებული აქტივების არსებითი გაუმჯობესება);“;

ბ) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ამორტიზირებადი აქტივი – განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე ისეთი აქტივი, რომელსაც ფიზიკურად ხელშესახები ფორმა არ გააჩნია (არამატერიალური აქტივი, შეღავათიანი მომსახურების აქტივი, ფინანსური იჯარით მიღებული აქტივი ან საოპერაციო იჯარით მიღებული აქტივების არსებითი გაუმჯობესება);“;

გ) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) სასარგებლო მომსახურების ვადა – პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ერთეულის მიერ ცვეთადი/ამორტიზირებადი აქტივის გამოყენება ან პროდუქციის ან მსგავსი ნაწარმის რაოდენობა, რომლის მიღებაც მოსალოდნელია ერთეულის მიერ მოცემული აქტივის გამოყენებით;“;

დ) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ცვეთის/ამორტიზაციის ხარჯი – ცვეთადი/ამორტიზირებადი აქტივების ღირებულების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში სისტემატური განაწილების შედეგად დარიცხული თანხა;“;

ე) „პ“ და „ჟ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პ) გადაფასების პროპორციული (ინდექსაციის) მეთოდი – ცვეთადი/ამორტიზირებადი აქტივის პირვანდელი (თავდაპირველი) ღირებულების და დაგროვილი (აკუმულირებული) ცვეთის/ამორტიზაციის გადანაგარიშება პროპორციულად ისე, რომ გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება უდრიდეს მის გადაფასებულ ღირებულებას;



ქ) გადაფასების ელიმინირების მეთოდი – ცვეთის/ამორტიზაციის და გაუფასურების თანხით შემცირებული აქტივის პირვანდელი (თავდაპირველი) ღირებულების გადაანგარიშება აქტივის გადაფასებულ ღირებულებამდე;“;

ვ) „რ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ს“, „ტ“, „უ“, „ფ“ და „ქ“ ქვეპუნქტები:

„ს) წრფივი მეთოდი – ცვეთის ერთი და იგივე თანხის დარიცხვა აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში;

ტ) შემცირებადი ნაშთის მეთოდი – ცვეთის კლებადი თანხების დარიცხვა აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში;

უ) წარმოების ერთეულთა ჯამის მეთოდი – ცვეთის დარიცხვა აქტივების მოსალოდნელი გამოყენების, ან წარმოებული პროდუქციის საფუძველზე;

ფ) სამუშაო მდგომარეობაში მოყვანა – დანიშნულების ადგილას მიტანა და ისეთ მდგომარეობაში მოყვანა, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისთვის ამ აქტივის გამოსაყენებლად;

ქ) ცვეთადი/ამორტიზირებადი აქტივის აღიარების შეწყვეტა – ცვეთადი/ამორტიზირებადი აქტივის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარების შეწყვეტა აქტივის ერთეულიდან გასვლისას (გაყიდვისას, გაჩუქებისას და სხვ.) ან ჩამოწერისას, როდესაც მისი გასხვისებიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.“.

2. მე-3 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ცვეთადი/ამორტიზირებადი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა და ცვეთის/ამორტიზაციის მეთოდის შერჩევა აქტივის ხასიათიდან ან/და წარმადობიდან გამომდინარე, წარმოადგენს ორგანიზაციის განსჯის საგანს. ამასთან, ახალი ცვეთადი აქტივებისთვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადები არ შეიძლება იყოს წინამდებარე ინსტრუქციის დანართი №1-ით დადგენილ სასარგებლო მომსახურების მინიმალურ ვადებზე ნაკლები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონმდებლობის, ხელშეკრულების ან/და ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად მოცემული აქტივებისათვის აღნიშნული ვადები სხვაგვარადაა განსაზღვრული.“;

ბ) მე – 2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი:

„2¹. როდესაც კანონმდებლობის, ხელშეკრულების ან/და ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად ცვეთადი აქტივისათვის დადგენილია წინამდებარე ინსტრუქციის დანართი №1-ით განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების მინიმალური ვადისგან განსხვავებული ეკონომიკური მომსახურების ვადა, სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს აღნიშნული ვადა, ნაცვლად წინამდებარე ინსტრუქციის დანართი №1-ით განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების მინიმალური ვადისა.“

გ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ექსპლუატაციაში მყოფი ცვეთადი აქტივების მიღების შემთხვევაში, სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება აქტივის ხასიათიდან ან/და დარჩენილი წარმადობიდან გამომდინარე, ერთეულის განსჯის საფუძველზე. ამასთან, სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისათვის არ მოითხოვება წინამდებარე ინსტრუქციის დანართი №1-ით დადგენილი სასარგებლო მომსახურების მინიმალური ვადების გათვალისწინება. ასეთი აქტივისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა შესაძლებელია ასახავდეს ეკონომიკური მომსახურების დარჩენილ ვადას, მაშინ როდესაც ერთეული აღნიშნული აქტივის გამოყენებას აპირებს ეკონომიკური მომსახურების დარჩენილი ვადის განმავლობაში, ან ეკონომიკური მომსახურების დარჩენილ ვადაზე ნაკლებ ვადას.“;



დ) მე-5 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული ცვეთადი აქტივისათვის სასარგებლო მომსახურების ვადის დადგენის მიზნით წინამდებარე ინსტრუქციის შესაბამისად ვერ განისაზღვრება ერთგვაროვანი (ანალოგიური) აქტივები, ერთეულს სააღრიცხვო პოლიტიკის ფარგლებში შეუძლია შეიმუშაოს და დაამტკიცოს ცვეთის დარიცხვისათვის გამოსაყენებელი შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები. ამასთან, ასეთ აქტივებზე სასარგებლო მომსახურების ვადად შესაძლებელია განისაზღვროს მოცემული აქტივის ეკონომიკური მომსახურების ვადა, მაშინ როდესაც ერთეული აღნიშნული აქტივის გამოყენებას აპირებს მთლიანი ეკონომიკური მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ეკონომიკური მომსახურების ვადაზე ნაკლები ვადა.

6. გასაყიდად გამიზნულ ცვეთად/ამორტიზირებად აქტივებს, დაუმთავრებელ მშენებლობას, მიწას (გარდა კარიერებისა და ნაგავსაყრელებისა), საბიბლიოთეკო ფონდს, ფასეულობებს, ასევე, აქტივებს, რომელთა საკუთრების უფლება ჯერ არ არის მოპოვებული ან სხვა ერთეულებზე გადასაცემად მიღებული/განკუთვნილი, ცვეთა/ამორტიზაცია არ ერიცხება.“;

ე) მე-7 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 7¹ პუნქტი:

„7¹. მიწა და შენობა-ნაგებობები ცვეთის დარიცხვის მიზნებისათვის დამოუკიდებელ აქტივებად განიხილება და აღირიცხება ცალ-ცალკე მათი ერთად შექმნის შემთხვევაშიც კი. მიწას, ჩვეულებრივ, გააჩნია შეუზღუდავი მომსახურების ვადა და, შესაბამისად, ცვეთა არ ერიცხება, გარდა ზოგიერთი გამონაკლისი შემთხვევებისა.“;

ვ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. ამორტიზირებადი აქტივებისთვის სასარგებლო მომსახურების ვადები დგინდება წინამდებარე ინსტრუქციით თანდართული დანართი №2-ით განსაზღვრული წესების შესაბამისად. ამასთან, ამორტიზირებადი აქტივებისთვის სასარგებლო მომსახურების ვადა უნდა შეიცავდეს განახლების პერიოდ(ებ)ს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ ერთეული განახლებას განახორციელებს მნიშვნელოვანი დანახარჯების გარეშე. თუ ახალ ამორტიზირებად აქტივთან დაკავშირებით ერთეულს არ შეუძლია სასარგებლო მომსახურების ვადის დადგენა, ასეთი აქტივებისათვის სასარგებლო მომსახურების ვადად განისაზღვრება 10 წელი. ექსპლუატაციაში მყოფი ამორტიზირებადი აქტივების მიღების შემთხვევაში, სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება აქტივის ხასიათიდან ან/და დარჩენილი წარმადობიდან გამომდინარე, ერთეულის განსჯის საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია ასახავდეს მოცემული აქტივის ეკონომიკური მომსახურების დარჩენილ ვადას, მაშინ როდესაც ერთეული აღნიშნული აქტივის გამოყენებას აპირებს ეკონომიკური მომსახურების დარჩენილი ვადის განმავლობაში. ან ეკონომიკური მომსახურების დარჩენილ ვადაზე ნაკლებ ვადას.“.

3. მე-4 მუხლის:

ა) პირველი – მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ცვეთად/ამორტიზირებად აქტივებს ცვეთა/ამორტიზაცია ერიცხება სისტემატურ საფუძველზე, ერთეულის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული მიზნებისა და დანიშნულების მისაღწევად, სამუშაო მდგომარეობაში მოყვანიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონმდებლობის, ხელშეკრულების ან/და მოცემული აქტივის ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად აღნიშნული სხვაგვარადაა განსაზღვრული.

2. ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა რომელიმე მეთოდის (შემცირებადი ნაშთის მეთოდის, წარმოების ერთეულთა ჯამის მეთოდი და სხვ.) გამოყენება უფრო მეტად ასახავს აქტივში განივთებული მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მიღების ხასიათს.

3. სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის წელს აქტივს ცვეთა/ამორტიზაცია უნდა დაერიცხოს წლის განმავლობაში ერთეულში მუშა მდგომარეობაში ყოფნის ვადის პროპორციულად, ხოლო აღიარების



შეწყვეტის წელს – წლის განმავლობაში ერთეულში ყოფნის ვადის პროპორციულად, დღეების ან თვეების მიხედვით.

4. ცვეთად/ამორტიზირებად აქტივს ცვეთა/ამორტიზაცია ერიცხება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წლის განმავლობაში მოცემული აქტივის აღიარების შეწყვეტას აქვს ადგილი. ასეთ შემთხვევაში, აქტივს ცვეთა/ამორტიზაცია დაერიცხება აღიარების შეწყვეტის მომენტისათვის, პროპორციულად, დღეების ან თვეების მიხედვით.

ბ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4¹ პუნქტი:

„4¹. ცვეთის/ამორტიზაციის პროპორციული დარიცხვისათვის რეკომენდებულია გამოყენებულ იქნეს თვეების მიხედვით დარიცხვის მეთოდი. არასრული თვეების შემთხვევაში გამოიყენება დამრგვალება.

გ) მე-8 და მე-9 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. ფინანსური იჯარით მიღებული აქტივის შემთხვევაში, ყოველ საანგარიშგებო პერიოდში საიჯარო აქტივის ცვეთის/ამორტიზაციის თანხა სისტემატურად უნდა განაწილდეს იმ პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც ნავარაუდევია აქტივის გამოყენება, მოიჯარის მიერ საკუთარი ცვეთადი/ამორტიზირებადი აქტივების მიმართ გამოყენებული ცვეთის/ამორტიზაციის პოლიტიკის შესაბამისად.

9. თუ არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ მოიჯარე აქტივზე საკუთრების უფლე ბას მიიღებს ფინანსური იჯარის ვადის გასვლის შემდეგ, ფინანსური იჯარით მიღებული აქტივის სავარაუდო გამოყენების ვადად უნდა ჩაითვალოს აღნიშნული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფინანსური იჯარით მიღებულ აქტივს ცვეთა/ამორტიზაცია დაერიცხება იჯარის ვადასა და მის სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესი დროის მონაკვეთის განმავლობაში.“;

დ) მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. იმ შემთხვევაში, თუ ერთეულის მიერ წინა პერიოდებში განსაზღვრული ვადის მქონე აქტივებისთვის არ მომხდარა ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა და აღნიშნული შეცდომა განიხილება არსებითად, წინა პერიოდებში დასარიცხი ცვეთის/ამორტიზაციის თანხა გაიანგარიშება აქტივის ცვეთადი/ამორტიზირებადი ღირებულების გაყოფით სასარგებლო მომსახურების ვადაზე და გამრავლებით აღნიშნულ პერიოდზე. ამასთან, მოცემული მოვლენა აღრიცხვა-ანგარიშგებაში აისახება როგორც წინა პერიოდებში დაშვებული არსებითი შეცდომის გასწორება სსბასს-ების მოთხოვნების შესაბამისად.“.

4. მე-5 – მე-7 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. ცვეთადი/ამორტიზირებადი აქტივის ნარჩენი (სალიკვიდაციო) ღირებულება და მისი გადახედვა

1. ცვეთადი/ამორტიზირებადი აქტივის ნარჩენი (სალიკვიდაციო) ღირებულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სასარგებლო მომსახურების ვადა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უნდა გადაისინჯოს, და თუ მოსალოდნელი შედეგები წინა შეფასებებისაგან განსხვავდება, ცვლილებები ერთეულის აღრიცხვა-ანგარიშგებაში უნდა აისახოს სსბასს-ების მოთხოვნების შესაბამისად, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება.

2. ცვეთადი/ამორტიზირებადი აქტივის ნარჩენი/სალიკვიდაციო ღირებულება, საჯარო სექტორის სპეციფიკის გათვალისწინებით, შეიძლება ნულის ტოლი იყოს, მაშინ როდესაც ერთეული აპირებს მოცემული აქტივის გამოყენებას აღნიშნული აქტივის მთლიანი ეკონომიკური მომსახურების ვადის განმავლობაში.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივის ნარჩენი (სალიკვიდაციო) ღირებულება იზრდება აქტივის საბალანსო ღირებულებამდე ან მეტად, ცვეთის/ამორტიზაციის ხარჯის დარიცხვა წყდება მანამ, სანამ



ნარჩენი (სალიკვიდაციო) ღირებულება არ გახდება აქტივის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები. ამასთან, ერთეულმა უნდა განაგრძოს ასეთი აქტივის საბალანსო ანგარიშზე აღიარება.

მუხლი 6. ცვეთის/ამორტიზაციის ხარჯების აღრიცხვა-ანგარიშებაში ასახვა

1. ცვეთადი/ამორტიზირებადი აქტივებისთვის ყოველწლიურად დარიცხული ცვეთის/ამორტიზაციის ხარჯები აისახება საანგარიშგებო პერიოდის ნამეტში ან დეფიციტში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ცვეთის/ამორტიზაციის მოცემული ხარჯი ჩართულია სხვა აქტივ(ებ)ის საბალანსო ღირებულებაში.
2. ყოველწლიურად დარიცხული ცვეთის/ამორტიზაციის ხარჯები ნაზარდი ჯამით აისახება დაგროვილი (აკუმულირებული) ცვეთის/ამორტიზაციის ანგარიშებზე.
3. ცვეთის/ამორტიზაციის ანგარიშებზე ნაზარდი ჯამით დაგროვილი (აკუმულირებული) თანხები ჩამოიწერება ცვეთადი/ამორტიზირებადი აქტივების აღიარების შეწყვეტისას.

მუხლი 7. ერთჯერადი გადაფასებისას, სრულად გაცვეთილი ცვეთადი/ამორტიზირებადი აქტივის ღირებულების თავიდან დადგენისას, არსებითი გაუმჯობესებისას და გაუფასურების ან/და გაუფასურების ანუღირებისას ცვეთის/ამორტიზაციის გადაანგარიშება

1. ერთეულს ცვეთადი/ამორტიზირებადი აქტივის ერთჯერადი გადაფასებისას შეუძლია გამოიყენოს პროპორციული (ინდექსაციის) ან ელიმინირების მეთოდი.
2. პროპორციული (ინდექსაციის) მეთოდის გამოყენებისას, ცვეთადი/ამორტიზირებადი აქტივის პირვანდელი (თავდაპირველი) ღირებულება და დაგროვილი (აკუმულირებული) ცვეთა/ამორტიზაცია გადაანგარიშდება პროპორციულად ისე, რომ გადაფასების შედეგად აქტივების საბალანსო ღირებულება უდრიდეს მის გადაფასებულ ღირებულებას.
3. ელიმინირების მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, დაგროვილი (აკუმულირებული) ცვეთის/ამორტიზაციის მაჩვენებელი აკლდება აქტივის პირვანდელ (თავდაპირველ) ღირებულებას, ხოლო სხვაობის თანხა გადაიანგარიშება აქტივის გადაფასებულ ღირებულებამდე.
4. ცვეთადი/ამორტიზირებადი აქტივის ერთჯერადი გადაფასების შედეგად აქტივის ღირებულების ზრდის/აღიარების შემთხვევაში, მოცემული აქტივის ცვეთის/ამორტიზაციის თანხა უნდა კორექტირდეს შემდეგი პერიოდებისათვის, რათა მოხდეს აქტივის ნარჩენი (სალიკვიდაციო) ღირებულებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კორექტირებული საბალანსო ღირებულების სისტემატური განაწილება აქტივის დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. თუ ასეთი გადაფასების შედეგად იზრდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაც, ცვეთის განსაზღვრისათვის გაზრდილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე იყოფა აქტივის გაზრდილი ღირებულება.
5. ცვეთადი/ამორტიზირებადი აქტივის ერთჯერადი გადაფასების შედეგად აქტივის ღირებულების შემცირების შემთხვევაში, მოცემული აქტივის შემდგომი პერიოდების ცვეთის/ამორტიზაციის თანხა უნდა კორექტირდეს, რათა მოხდეს აქტივის ნარჩენი (სალიკვიდაციო) ღირებულებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კორექტირებული საბალანსო ღირებულების სისტემატური განაწილება აქტივის დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. თუ ასეთი გადაფასების შედეგად მცირდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაც, ცვეთის განსაზღვრისათვის შემცირებულ სასარგებლო მომსახურების ვადაზე იყოფა აქტივის შემცირებული ღირებულება.
6. ერთეულის მიერ სრულად გაცვეთილი ცვეთადი/ამორტიზირებადი აქტივის ღირებულების თავიდან დადგენისას, მოცემული აქტივის ცვეთა/ამორტიზირებად თანხად განისაზღვრება ღირებულების თავიდან დადგენის შედეგად მიღებული თანხა, რომელსაც ცვეთა/ამორტიზაცია ერიცხება სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, რომლის განსაზღვრისას არ გაითვალისწინება წინამდებარე ინსტრუქციით დადგენილი სასარგებლო მომსახურების მინიმალური ვადები.
7. ცვეთადი/ამორტიზირებადი აქტივის არსებითი გაუმჯობესების შემთხვევაში, აქტივის ღირებულების ზრდის/აღიარების შემდეგ, მოცემული აქტივის ცვეთის/ამორტიზაციის თანხა უნდა



კორექტირდეს შემდეგი პერიოდებისათვის, რათა მოხდეს აქტივის ნარჩენი (სალიკვიდაცო) ღირებულებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კორექტირებული საბალანსო ღირებულების სისტემატური განაწილება აქტივის დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. თუ ასეთი სამუშაოების შედეგად იზრდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაც, ცვეთის განსაზღვრისათვის გაზრდილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე იყოფა აქტივის გაზრდილი ღირებულება.

8. ცვეთადი/ამორტიზირებადი აქტივის გაუფასურების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ, მოცემული აქტივის შემდგომი პერიოდების ცვეთის/ამორტიზაციის თანხა უნდა კორექტირდეს, რათა მოხდეს აქტივის ნარჩენი (სალიკვიდაცო) ღირებულებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კორექტირებული საბალანსო ღირებულების სისტემატური განაწილება აქტივის დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. თუ ასეთი გაუფასურების შედეგად მცირდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაც, ცვეთის განსაზღვრისათვის შემცირებულ სასარგებლო მომსახურების ვადაზე იყოფა აქტივის შემცირებული ღირებულება.

9. ცვეთადი/ამორტიზირებადი აქტივის გაუფასურების ზარალის ანუღირების აღიარების შემდეგ, აქტივის ცვეთის/ამორტიზაციის თანხა უნდა კორექტირდეს მომავალი პერიოდებისათვის, რათა მოხდეს აქტივის ნარჩენი (სალიკვიდაცო) ღირებულებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კორექტირებული საბალანსო ღირებულების სისტემატური განაწილება აქტივის დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. თუ ასეთი გაუფასურების ზარალის ანუღირების შედეგად იზრდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაც, ცვეთის განსაზღვრისათვის გაზრდილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე იყოფა აქტივის გაზრდილი ღირებულება.“.

5. მე-8 მუხლის:

ა) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ექსპლუატაციაში არმყოფი ცვეთადი/ამორტიზებადი აქტივის საჯარო სექტორის ერთეულიდან არაგაცვლითი ოპერაციის შედეგად მიღების შემთხვევაში, ერთეულმა მოცემული აქტივი შესაძლებელია აღიაროს პირვანდელი (თავდაპირველი) ღირებულებით ან ცვეთადი/ამორტიზირებადი აქტივის ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული სხვა თანხით და ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა და შესაბამისად, დაგროვება (აკუმულირება) უნდა დაიწყოს მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდიდან, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

2. ექსპლუატაციაში მყოფი ცვეთადი/ამორტიზებადი აქტივის საჯარო სექტორის ერთეულიდან არაგაცვლითი ოპერაციის გზით გადაცემის/მიღების შემთხვევაში, გამცემი ერთეული აღნიშნულ აქტივს ჩამოწერს პირვანდელი (თავდაპირველი) ღირებულებით, გაცემის მომენტამდე დაგროვილ (აკუმულირებულ) ცვეთასთან/ამორტიზაციასთან ერთად, ხოლო მიმღებ ერთეულს მოცემული აქტივის აღიარება შეუძლია პირვანდელი (თავდაპირველი) ღირებულებით ან ცვეთადი/ამორტიზირებადი აქტივის ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული სხვა თანხით, შესაბამის დაგროვილ (აკუმულირებულ) ცვეთასთან/ამორტიზაციასთან ერთად. ამ შემთხვევაში, მიმღები ერთეული ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვას განაგრძობს სასარგებლო მომსახურების ვადის დარჩენილი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ეკონომიკური ერთეულის ქვეშ კონსოლიდაციას დაქვემდებარებულ ერთეულებს შორის ექსპლუატაციაში მყოფი ცვეთადი/ამორტიზებადი აქტივის არაგაცვლითი ოპერაციის გზით გადაცემის/მიღების შემთხვევაში, შესაძლებელია მოცემულ აქტივს ცვეთა/ამორტიზაცია დაარიცხოს მიმღებმა ერთეულმა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სრული კალენდარული წლისათვის.“.

6. დანართი № 1 და დანართი № 2 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2022 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებლივ ურთიერთობებზე.

